# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 723

2012 წ. "27" 11

ქ. თბილისი

**ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ**

ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №18 სხდომის ოქმის მე-17 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე